



Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

**Swiss Agency for Development
and Cooperation SDC**



ტურიზმის
ხელშეწყობა
ადგილობრივი
ეკონომიკური
განვითარებისათვის

**FOSTERING TOURISM
FOR LOCAL
ECONOMIC
DEVELOPMENT (LED)**

წინასიტყვაობა

წინამდებარე კატალოგში თავმოყრილია ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების 18 პროექტი, რომელიც დაფინანსდა პროექტის „რეგიონული და ადგილობრივი განვითარება საქართველოში“ მე-2 ფაზის ფარგლებში.

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ინიციატივების მიზანია ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტებისა და ადგილობრივი თემების ეკონომიკური შესაძლებლობების ზრდას სიღარიბის შემცირებისა და მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. თითოეულ მუნიციპალიტეტსა და ადგილობრივ თემს გააჩნია უნიკალური პირობები ტურიზმის საშუალებით განავითაროს ადგილობრივი ეკონომიკა. ხსენებულ რეგიონებში ტურიზმი ადგილობრივი ეკონომიკის ხერხემალია და ყველაზე დიდი დამსაქმებელი სექტორი. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება მხოლოდ ეკონომიკურ განვითარებას არ გულისხმობს. მსგავსი მიდგომა უზრუნველყოფს მოქალაქეების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების და მუნიციპალიტეტების ჩართულობას ადგილობრივი პრობლემების გადაწყვეტის გზების პოვნაში. ის ხელს უწყობს ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში და აძლიერებს სოციალურ დიალოგს.

Foreword

The present booklet catalogues 18 Local Economic Development (LED) Initiatives supported within the framework of the “Fostering Regional and Local Development in Georgia” project (Phase 2).

The purpose of these LED initiatives is to boost the economic capacity of municipalities and local communities to reduce poverty and improve the quality of life for all. Each municipality and local community in the present brochure has a unique set of local conditions to enhance the potential for local economic development through tourism. Tourism is a backbone of the local economy, and the largest employer in these regions. The LED is more than just economic growth: it brings together citizens, civil society organizations, and municipalities to develop solutions to local issues. It also encourages greater participation of the local population in decision-making and enhanced social dialogue.

პროექტის „რეგიონული და ადგილობრივი განვითარება საქართველოში“ მე-2 ფაზა დაფინანსებულია შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსა (SDC) და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის მიერ (ADC). პროექტს ახორციელებს გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში. პროექტი მიზნად ისახავს ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუტების გაძლიერებასა და ეკონომიკურ განვითარებას, რომელიც მიიღწევა ადგილობრივი მოსახლეობის ფართო მონაწილეობით, რადგან მათ უკეთ შეუძლიათ ადგილობრივი პრობლემებისა თუ შესაძლებლობების შეფასება.

The “Fostering Regional and Local Development in Georgia” project (Phase 2) is co-funded by the Swiss Agency for Development and Cooperation (SDC) and Austrian Development Cooperation (ADC), and is implemented by the United Nations Development Programme (UNDP) in Georgia. The project works towards stronger local self-government institutions and economic prosperity, which can only be achieved with the broad engagement of the local population who are best suited to assess local challenges and opportunities.



ეთნო-ცენტრის გახსნა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში



©UNDP/ვლადიმერ ვალიშვილი



©UNDP/ვლადიმერ ვალიშვილი

საქართველოში საუკუნეების განმავლობაში, თაობიდან თაობას გადაეცემოდა და უფრო იხვეწებოდა ხალხური რეწვა და ხელობა. საქართველოს ყველა რეგიონი, სამეგრელოს ჩათვლით, ამაყობს თავისი უნიკალური ხელნაკეთობით, თუმცა, ბოლო წლებია, რაც ინტერესი ტრადიციული ხელობის მიმართ იკლო და უკვე მივიწყების პირასაა.


წინამდებარე პროექტი წარმოადგინა ზუგდიდის მუნიციპალიტეტმა და მიზნად ისახავს ტრადიციული რეწვისა და ხელობის აღდგენას, განვითარებასა და პოპულარიზაციას. ეთნო-ცენტრი ჩაატარებს ტრენინგებს, სადაც ახალგაზრდები დახელოვდებიან ხელნაკეთების წარმოებაში. ამავდროულად, ეს იქნება ადგილი, სადაც გაყიდიან თავიანთ ნაწარმს. ზუგდიდი მუნიციპალიტეტმა უკვე გამოყო ადგილი ქალაქის ცენტრში გამოფენა-გაყიდვების მოსაწყობად. ადგილობრივი ოსტატების შეისწავლიან ბიზნესის წარმოების უნარებს, კერძოდ, მათ ჩაუტარდებათ ტრენინგები შემდეგ თემებზე: ბიზნესის ეფექტურობა, საგადასახადო სისტემები და მარკეტინგი, ბრენდის პოლიტიკა და ბრენდირება, ქონების უფლებები და პატენტი.

ადგილობრივ პროდუქტებზე და მომსახურებაზე გაზრდილი მოთხოვნა წვლილს შეიტანს მეტი სამუშაო ადგილების შექმნასა და ტურისტების მიზიდვაში. ასეთი ღონისძიებები გაზრდიან ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტურიზმის პოტენციალის



ზუგდიდის მუნიციპალიტეტი

მოსარგებლე: 70 ბენეფიციარი, მათ შორის 30 ხელოსანი და 40 შეგირდი



ხანგრძლივობა: 10 თვე

ტურიზმის განვითარება სენაკის მუნიციპალიტეტში



©UNDP/ვლადიმერ ვალიშვილი



©UNDP/ვლადიმერ ვალიშვილი

სენაკის მუნიციპალიტეტში, რომლის მოსახლეობა 40'000 ადამიანია, 44 კულტურული და ისტორიული ძეგლია, მათ შორის ყველაზე ცნობილია ნოქალაქევი, ასევე არქეოპოლისად წოდებული. სენაკის ტურიზმის პოტენციალი უდავოდ დიდია, თუმცა ჯერჯერობით ბოლომდე აუთვისებელი რჩება.


პროექტი მიზნად ისახავს ვებ-გვერდის შექმნას (tourism.senaki.gov.ge), სადაც მსურველები ყველა ტურისტული ადგილის შესახებ ამომწურავ ინფორმაციას იპოვიან. ადგილობრივი მოსახლეობისთვის ვებსაიტზე განთავსდება ინფორმაცია ახალი პროექტების შესახებ. ადგილობრივი თვითმმართველობა დაეხმარება დაინტერესებულ მოქალაქეებს საპროექტო განაცხადის შევსებაში, რაც კერძო და საჯარო სექტორების თანამშრომლობის კარგი მაგალითი იქნება. ტურისტული გასართობები, როგორცაა თოკების პარკი, ზიპლაინი, ფრინველებზე დაკვირვების პლატფორმა და პარკირების ზონა ნოქალაქევს უფრო კომფორტულს და ტურისტებისთვის უფრო მიმზიდველს გახდის. მერიის მიერ მოწყობილი დია ბაზრობები ადგილობრივი პროდუქციის პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს. პროექტის ფარგლებში ასევე იგეგმება ტურიზმის მიმართულებით ადგილობრივი მოსახლეობის უნარების განვითარება.

პროექტი ადგილობრივ თვითმმართველობას დაეხმარება ტურისტების მოზიდვაში. გაიზრდება მოთხოვნა ადგილობრივ პროდუქტებზე, რაც ეკონომიკის სტიმულირებას გამოიწვევს.



სენაკის მუნიციპალიტეტი

მოსარგებლე: მთავარი ბუნეფიცარი ადგილობრივი მოსახლეობა - დაახლ. 40'000 ადამიანი



80'000 ლარი

ხანგრძლივობა: 12 თვე

ონის მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარება პოსტ-პანდემიის პერიოდში



©SDC



©UNDP/ნინო ზედგენიძე


ალპური ტბები კრიალა წყლით, თვალისმომჭრელი მთები, დახვეწილი სამზარეულო და ღვინო, ხელუხლებელი ბუნება და საუკუნოვანი ეკლესიები საკმარისი მიზეზია იმისთვის, რომ ონის მუნიციპალიტეტი გახდეს ერთ-ერთი ყველაზე ტურისტული ადგილი საქართველოში. ყოველწლიურად მუნიციპალიტეტს სტუმრობს 19'000 ქართველი და საერთაშორისო ტურისტი, რაც ადგილობრივ მოსახლეობას 3-ჯერ აღემატება.

წინამდებარე ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პროექტი გაზრდის მუნიციპალიტეტის ტურისტულ მიმზიდველობას, პროექტის ფარგლებში მოხდება ოთხი ტურისტული მარშრუტის მარკირება. ონის შესასვლელში ბელვედერს ონის მუნიციპალიტეტის ხელოვნების სკოლის მოსწავლეები შელგავენ. ხიდი ონის შესასვლელში გალამაზდება ყვავილებით და მასზე მოეწყობა გარე განათება. მოეწყობა ღია ბაზრობები, სადაც ადგილობრივი მწარმოებლები წარმოადგენენ თავიანთ ნაწარმს, ხოლო ტურისტები შეიძენენ ადგილობრივ პროდუქციას. მასპინძლობის სერვისის გაუმჯობესების მიზნით, ადგილობრივ გიდებს ჩაუტარდებათ ტრენინგები.

აღნიშნული პროექტის დონისძიებები მიმართულია ადგილობრივი ტურიზმის განვითარებისკენ, რათა ტურიზმის სექტორში პირდაპირ თუ ირიბად ჩართულმა ადგილობრივმა მოსახლეობამ მეტი სარგებელი მიიღოს.



ონის მუნიციპალიტეტი



65'800 ლარი

მოსარგებლე: 40 მცირე და საშუალო მეწარმე და ფერმერი და ადგილობრივი მოსახლეობა, 6'100 ადამიანი. ასევე, 12 ადგილობრივი გიდი მიიღებს პირდაპირ სარგებელს.

ხანგრძლივობა: 10 თვე

ტურიზმის განვითარება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში



©turebi.ge



© ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია


ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს დასავლეთით ზღვა ესაზღვრება. მისი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კურორტი - გრიგოლეთი - იდეალურია ოჯახური დასვენებისთვის. ხოლო სუფსისა და აცანას მდინარეებზე ჯომარდობა აქტიური დამსვენებლებისა და სპორტის მოყვარულთათვის დაუვიწყარი თავგადასავალი იქნება.

წინამდებარე ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ინიციატივის ფარგლებში, ადგილობრივი მუნიციპალიტეტი, ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტროს ექსპერტების დახმარებით, შეიმუშავებს გრიგოლეთის სივრცითი განვითარების გეგმას. ამ ინიციატივის ფარგლებში შეისწავლება ორივე მდინარის პოტენციალი. ადგილობრივი ხელისუფლება ააშენებს ჯომარდობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას და შეიძენს ინვენტარს.

გრიგოლეთის სივრცითი განვითარების გეგმა შექმნის ჯანსაღ და მაღალი დონის საცხოვრებელ, სამუშაო ადგილს როგორც ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის, ასევე ტურისტებისთვის. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი ჯომარდობას შეიყვანს ადგილობრივი გასართობების სიაში.



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი



322'690 ლარი

მოსარგებლე: 5 ადგილობრივი ინსტრუქტორი გადამზადდება გრიგოლეთსა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში; მოსახლეობა - 31,500 ადამიანი

ხანგრძლივობა: 11 თვე

ფოთში სამოყვარულო თევზაობის განვითარება



© ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია



© ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია


დასასვენებელი თევზაობა ტურიზმის ინდუსტრიაში ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი სახეობაა, რომელიც, სწორად დაგეგმვისა და ორგანიზების პირობებში, მრავალი ტურისტის მოზიდვა შეუძლია ერთ კონკრეტულ ადგილას. მარტონწყალა ტბის ქართველი და უცხოელი ტურისტებისთვის მიმზიდველ ადგილად გარდაქმნას დიდი ძალისხმევა დაჭირდება.

წინამდებარე ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პროექტის ფარგლებში, მუნიციპალიტეტი განავითარებს ადგილობრივ ინფრასტრუქტურას, ადგილი მოეწყობა შშმ პირებისთვის. უსაფრთხოების გაზრდის მიზნით, დამატებით დამონტაჟდება კამერები. ფესტივალები და ტურები, დახლები და ღია ბაზრობები მოეწყობა რათა მეტი სიცოცხლე შემატოს რეგიონში თევზაობას და მარტონწყალა ტბა განდეს ყველაზე ხალხმრავალი ადგილი, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა, მათ შორის ახალგაზრდები, ქალები, ბავშვები და შშმ პირები ჩაერთვებიან სოციალურ აქტივობებში.

შედეგად, კომფორტულ და უსაფრთხო გარემოს დამატებული ბუნებრივი ლანდშაფტი წინაპირობას ქმნის, რათა ტბა ტურისტულად მიმზიდველი გახდეს. მეტი ვიზიტორი ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ინდიკატორი იქნება, რომელშიც წვლილი ამ პროექტმა შეიტანა.



თვითმმართველი ქალაქი ფოთი



69'055 ლარი

მოსარგებლე: ადგილობრივი მოსახლეობა; ასევე, მეთევზეები და მცირე ბიზნესის მფლობელები, ადგილობრივი და საერთაშორისო ვიზიტორები

ხანგრძლივობა: 12 თვე

ბახმაროს ტურისტული პოტენციალის ზრდა



©გიორგი ნიკოლავა




©გიორგი ნიკოლავა

მარადმწვანე ნაძვნარით დაფარული ბახმარო, სუფთა ჰაერით და მდიდარი სამკურნალო რესურსებით, გურიის უნიკალური მაღალმთიანი კურორტია. ათწლეულებია, ბავშვები და დიდები თვეობით რჩებიან ბახმაროში რათა განიკურნონ, რის გამოც ის საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე პოპულარული მინერალური და სპა კურორტია.

წინამდებარე ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ინიციატივის ფარგლებში, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი მოაწყობს ინფრასტრუქტურას კარვებით დასვენებისათვის, სავაჭრო და ჰიგიენურ ადგილებს ცხრაწყაროსა და ბახმაროს დამაკავშირებელ გზაზე. მერია და კურორტების ადმინისტრაცია მოუვლის და დაასუფთავებს ტერიტორიას მთელი წლის განმავლობაში. მომზადდება საინფორმაციო ფურცლები და ბროშურები გზების, დირშესანიშნაობების, მისასვლელი ტრანსპორტისა და მათი მოძრაობის გრაფიკის, ასევე ტურისტებისთვის საყურადღებო ინფორმაციის მითითებით. ბროშურები დარიგდება აეროპორტებში, ტურისტულ ცენტრებსა და სააგენტოებში. ახალი ინფრასტრუქტურა მოემსახურება 18'000 დამსვენებელს, რომელიც ბახმაროს სეზონის დროს სტუმრობს და დამატებით 10'000 ადამიანს, რომელიც ფერისცვალების დღესასწაულზე ტრადიციულ დოდს ესწრება. ეს დაეხმარება ადგილობრივ მწარმოებლებს გაზარდონ შემოსავალი, განავითარონ და გააფართოვონ თავიანთი ბიზნესი.



ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი



70,000 ლარი

მოსარგებლე: ჩოხატაურის მოსახლეობა, ადგილობრივი მწარმოებლები და ტურისტები

ხანგრძლივობა: 12 თვე

მარტვილში აგრარული ბაზრის მშენებლობა



©გიორგი ნიკოლავა



©pia.ge


საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი სოფლად ცხოვრობს და სოფლის მეურნეობაშია ჩართული. სუპერმარკეტებს დიდ ქალაქებში ბევრი მომხმარებელი ყავს, თუმცა ისეთ პატარა ქალაქებში, როგორც მარტვილია, ტრადიციული ბაზრები უფრო პოპულარულია. ამის ერთ-ერთი მიზეზი ხელმისაწვდომი ფასებია. როგორც გამყიდველთათვის, ასევე მყიდველთათვის, მნიშვნელოვანია ბაზრების კეთილმოწყობა.

წინამდებარე ადგილობრივი განვითარების პროექტი გულისხმობს მარტვილში აგრარული ბაზრის მშენებლობას. მერია უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის პროდუქტების ხარისხის დაცვას, ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებსა და მათი ინფრასტრუქტურის უსაფრთხოებასა და მოვლას.

საკუთარი ჯანმრთელობის ხარჯზე, გამყიდველებს გარეთ, სიცივეში ვაჭრობა უწევდათ. გადახურული ბაზრის შენობა დაიცავს მათ ჯანმრთელობას და ასევე პროდუქტის ხარისხს. შენობა მრავალი წელი მოემსახურება გამყიდველებსა და მყიდველებს.



მარტვილის მუნიციპალიტეტი



119,950 ლარი

მოსარგებლე: ადგილობრივი მოსახლეობა - დაახ. 33'000 ადამიანი, გამყიდველები, დაახლ. 30 ადამიანი

ხანგრძლივობა: 11 თვე

ტურიზმის განვითარება ცაგერში



©გიორგი ნიკოლავა



©ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია


ცაგერის მუნიციპალიტეტში 36 მნიშვნელოვანი ისტორიული მონუმენტი და ტურისტული ღირსშესანიშნაობაა, თუმცა ტურისტული თვალსაზრისით, ცაგერი არასათანადოდ პოპულარულია. ამის მიზეზი შეიძლება იყოს, ცაგერის, როგორც ტურისტული ადგილის წარმოჩენის არცოდნა.

ტურისტული აქტივობები და მასთან დაკავშირებული საქმიანობა ახალია ცაგერისთვის. შესაბამისად, ადგილობრივი ხელმძღვანელობის მხარდაჭერით, მუნიციპალიტეტის კადრი გადამზადდება ტურიზმის მართვის მიმართულებით. წინამდებარე ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ინიციატივის ფარგლებში, მუნიციპალიტეტში არსებული ტურიზმის დეპარტამენტი განახლდება. კერძოდ, ტურიზმის განვითარებისა და მონუმენტების დაცვის ცენტრის რეორგანიზაციის შედეგად, მოხდება მისი ტურიზმის საინფორმაციო ცენტრთან გაერთიანება. ორივე ერთად შექმნის ადგილობრივი ტურიზმის განვითარების ცენტრს, რომელშიც გაერთიანდება ადგილობრივ ეკონომიკაში ჩართული ყველა აქტორი და მომსახურების პროვაიდერები. ჩატარდება რიგი სამუშაოები, მათ შორის, შემუშავდება საინფორმაციო ბროშურა და მოეწყობა საგზაო ნიშნები, მუნიციპალიტეტი პოპულარიზაციის მიზნით შეიქმნება სარეკლამო ვიდეო.

წინამდებარე პროექტის ღონისძიებები ემსახურება ადგილობრივი ტურიზმის განვითარებას. კომპეტენტური და განსწავლული კადრი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ადგილობრივ დონეზე ეფექტური და მდგრადი ტურიზმის მართვაში.



ცაგერის მუნიციპალიტეტი



83'118 ლარი

მოსარგებლე: მუნიციპალიტეტის 20 თანამშრომელი გადამზადდება; ადგილობრივი მოსახლეობა, დაახლ. 9'400 ადამიანი, მათ შორის ადგილობრივი მეწარმეები და პროვაიდერები

ხანგრძლივობა: 13 თვე

გომისმთის ურბანული განვითარების გეგმა



©გიორგი ნიკოლავა



©გიორგი ნიკოლავა

გომისმთა მდიდარია მინერალური წყლებით, ხშირი ტყით, სუფთა ჰაერითა და ბუნებრივი რესურსებით, რის გამოც მას ძალიან ბევრი ტურისტი სტუმრობს. ბუნებამ მთის ეს კურორტი უხვი რესურსებით დააჯილდოვა, თუმცა ინფრასტრუქტურა საჭიროებს საფუძვლიან გაუმჯობესებას.


წარმოდგენილი ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პროექტის ფარგლებში, ადგილობრივი ხელისუფლება შეიმუშავებს ურბანული განვითარების გეგმას ტენდერში გამარჯვებული კომპანიის დახმარებით. ურბანული განვითარების გეგმა და შესაბამისი დოკუმენტები შემუშავდება საქართველოს კანონმდებლობის თანახმად. ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტროს სივრცითი დაგეგმარების დეპარტამენტი საჭირო დახმარებას გაუწევს მთელი პროცესის განმავლობაში.

ურბანული განვითარების გეგმა იქნება კურორტის განვითარების გზამკვლევი, რომელიც გომისმთას საერთაშორისო აღიარებას მოუტანს. მუნიციპალიტეტის თანამშრომლები სამინისტროს ექსპერტებთან მჭიდროდ ითანამშრომლებენ, მიიღებენ ცოდნასა და გამოცდილებას, რომელიც მათ მომავალში, ამ გეგმის განხორციელებისას გამოიყენებენ.



ოზურგეთის მუნიციპალიტეტი

მოსარგებლე: მუნიციპალიტეტის მოსახლეობა, დაახლ. 62,000 ადამიანი და დამსვენებლები



240,000 ლარი

ხანგრძლივობა: 12 თვე

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში ეთნოგრაფიული ადგილის მოწყობა



©გიორგი ნიკოლავა



©გიორგი ნიკოლავა


ბევრი ტურისტი მიილტვის სვანეთში ცადაზიდული მთების და შუა საუკუნოვანი კოშკების სანახავად. თუმცა, სვანეთისკენ მიმავალნი ხშირად გვერდს უვლიან წალენჯიხაში არსებულ სიმდიდრეებს. ტობავაჩხილი, ქვაცანცარა, ჩანჩქერი ინწირა, ენგურის ჰიდროელექტროსადგურის კაშხალი, ციხე-კოშკი ომუნე და სქურის ნანგრევები მხოლოდ მცირე ჩამონათვალია.

ომუნე, რომელიც ზუგდიდი-ჯვარი-მესტიის გზის მონაკვეთზე მდებარეობს, მომავალ ეთნოგრაფიულ ზონად მოეწყობა, სადაც მნახველებს საშუალება ექნებათ დაათვალიერონ ოდა სახლები და ეწვიონ ნახევრად დახურულ დახლებს ადგილობრივი აგრო-პროდუქტებისა და ხელნაკეთი ნივთების შესაძენად. ტურისტულ სივრცეში გაიხსნება საინფორმაციო კუთხე.

წარმოდგენილი ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პროექტი დაეხმარება მუნიციპალიტეტს სამეგრელო-ზემო სვანეთის კურორტების მართვის ორგანიზაციასთან მჭიდრო თანამშრომლობით, წალენჯიხის, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო ტურისტულ ადგილად წარმოჩენაში. მუნიციპალიტეტის, როგორც ტურისტული ადგილის განვითარება ადგილობრივ ეკონომიკის გაძლიერებაში შეიტანს წვლილს.



წალენჯიხის მუნიციპალიტეტი



66'000 ლარი

მოსარგებლე: ომუნის მოსახლეობა, დაახლ. 100 ადამიანი და მუნიციპალიტეტის მოსახლეობა, დაახლ. 26'100 ადამიანი

ხანგრძლივობა: 12 თვე

მოქალაქეების ჩართულობა ტურიზმის განვითარებაში რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში



©UNDP/ვლადიმერ ვალიშვილი



©UNDP/ვლადიმერ ვალიშვილი

მოქალაქეთა ჩართულობა ბიუჯეტის დაგეგმვასა და პრიორიტეტების განსაზღვრაში ადგილობრივ დონეზე, დეცენტრალიზაციისა და დემოკრატიზაციის ფუნდამენტია, რადგან ადგილობრივი მოსახლეობა ყველაზე კარგადაა ინფორმირებული ადგილობრივი საჭიროებებისა და შესაძლებლობების შესახებ. მათ უკეთ შეუძლიათ ტურისტული პოტენციალის გამოვლენა და მისი შესაბამისი განვითარება.


წინამდებარე გრანტი გადაეცემა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციას „ადგილობრივი განვითარების სააგენტო“ ადგილობრივი ბიზნესებისა და სხვადასხვა სექტორის, მათ შორის რეგიონული ტურისტული სექტორის, ხელშესაწყობად. გრანტის მიმღები უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის პოპულარიზაციას. კერძოდ, მოქალაქეებს გააცნობენ მათ უფლებებს და მათი ჩართულობის მექანიზმებს, ასევე, ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებასა და გადაწყვეტილების პროცესში მათი ჩართულობის მნიშვნელობას. ადგილობრივი მოსახლეობა გაეცნობა მუნიციპალიტეტებს და მათ მიერ გაწეულ მომსახურებას. დახმარება გაეწევა ადგილობრივ ბიზნესებს, მათი გაფართოვებისა და დივერსიფიკაციის, ასევე სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით.

გრანტის ფარგლებში, გადრმავედება საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორებს შორის თანამშრომლობა.



რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი

მოსარგებლე: რეგიონის მოსახლეობა, დაახლოებით 30'000 ადამიანი



194,396 ლარი



ხანგრძლივობა: 15 თვე

მცირე ბიზნესები და პროფესიული განათლება და გადამზადება ქვემო ქართლის ტურიზმის განვითარებისათვის



©SDC



©SDC

სხვა რეგიონებთან შედარებით, ქვემო ქართლის მოსახლეობა ეთნიკურად მრავალფეროვანია. რეგიონი თბილისთან ახლოს მდებარეობს, ესაზღვრება აზერბაიჯანსა და სომხეთს. მისი მდებარეობის გამო, ის სატრანსპორტო ჰაბია და ტურისტებისთვის მიმზიდველი. ტურიზმი რეგიონში ყველაზე დიდი დამსაქმებელი სექტორია.


გრანტი გაიცემა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციაზე „ტურიზმი და რეალობა“ მცირე ბიზნესების, მათ შორის ტურიზმის კუთხით მომუშავე ბიზნესების და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის ხელშეწყობისათვის. გარდა ამისა, პროექტის ფარგლებში, ადგილობრივ ახალგაზრდებს ექნებათ საშუალება ისწავლონ პროფესიული კოლეჯებში. მიღებული ცოდნა და უნარები დაეხმარება ახალგაზრდებს დასაქმდნენ ტურიზმსა თუ სხვა სექტორებში.

საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორს შორის თანამშრომლობა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისათვის კიდევ უფრო გაღრმავდება.



ქვემო ქართლი

მოსარგებლე: 280 ადამიანი, ქალების, ბავშვებისა და ეთნიკური უმცირესობის ჩათვლით; დამატებით 1'120 არაპირდაპირი ბენეფიციარი



168,940 ლარი



ქალები ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისათვის



©SDC



©UNDP/ვლადიმერ ვალიშვილი

ქვემო ქართლში სხვადასხვა ეროვნების მოსახლეობა ცხოვრობს, რომლის უმრავლესობა სოფლის მეურნეობაზეა დამოკიდებული.


გრანტი გაიცემა სამოქალაქო საზოგადოებაზე „აზერი-ქალები“ ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკის გაძლიერებისკენ მიმართული პროექტების გამოვლენისა და შერჩევის პროცესში ჩართულობის ხელშესაწყობად. გრანტი გამოიყო რეგიონში აზერბაიჯანელი ქალების აქტიური მონაწილეობის ხელშესაწყობად. ამ მხრივ, მარნეულსა და დმანისში მცხოვრები ქალების სამეწარმეო პოტენციალი იქნება შესწავლილი და განვითარებული. ამის მისაღწევად, ჩამოყალიბდება ქალ-მეწარმეთა ქსელი და აზერბაიჯანელი ქალები მიიღებენ ინფორმაციას იმ მრავალი ეკონომიკური პროგრამის შესახებ, რომელსაც ახორციელებს მთავრობა და მუნიციპალიტეტი.

ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლის გაზრდის მიზნით, შესწავლილ იქნება მუნიციპალიტეტების სავაჭრო პოტენციალი და ყველა საჭირო ინფრასტრუქტურა მოეწყობა.



ქვემო ქართლი

მოსარგებლე: დაახლოებით 2'000 ქალი ისარგებლებს ამ პროექტით



GEL 146,805



ტურიზმის განვითარება გურიაში



©გიორგი ნიკოლავა



©UNDP/ვლადიმერ ვალიშვილი

რთულია გამოარჩიო ერთი რამ, რითიც გურია განსაკუთრებულია. აქ არის ზღვის სანაპირო მაღალმთიანი კურორტებით. გურიაში მოდის მრავალი დასახელების ხილი, მათ შორის ნახევრად-ტროპიკული კივი, თუმცა ჩაი ყოველთვის იყო და არის გურიის მთავარი სიამაყე.


წინამდებარე გრანტი გაიცემა სამოქალაქო საზოგადოებაზე „პროგრესის სახლი“, რომელსაც ორი მუნიციპალიტეტი გაინაწილებს რეგიონის ტურისტული პოტენციალის შესწავლის მიზნით. პროექტის ფარგლებში, ტურიზმის სექტორში დასაქმებული 215 ადამიანი გადამზადდება. რეგიონის ევროპულ ქალაქებთან დაძმობილების შესაძლებლობები გამოვლინდება. ამ მიზნით, გურიის ტურიზმის სექტორის 9 წარმომადგენელი ვიზიტით გაემგზავრება ევროპულ ქალაქებში. დაძმობილებული ევროპული ქალაქებიდან ლანჩხუთსა და გურიის მუნიციპალიტეტებში მოწვეულ იქნებიან მედიის წარმომადგენლები. ისინი გაცნობიან რეგიონის ტურიზმის პოტენციალს და რეკომენდაციას გაუწევენ თავიანთ ქვეყნებში.

მცირე გრანტები გადაეცემათ ტურიზმის სექტორის წარმომადგენლებს, მათ შორის სასტუმროების და საოჯახო სასტუმროების მფლობელებს, ტურისტულ გიდებსა და ანიმატორებს.



გურია

მოსარგებლე: ტურიზმის სექტორში ჩართული 215 პირდაპირი და დაახლ. 60'000 ირიბი მოსარგებლე



221'096 ლარი



ხანგრძლივობა: 12 თვე

“ადმოჩინე გურია”



©UNDP/ვლადიმერ ვალიშვილი



©გიორგი ნიკოლავა


“ადმოჩინე გურია” მცირე პროექტია დიდი მიზნით: მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის გამოვლენა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა და სოფლის მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება.

ეს მცირე პროექტი ვილნიუსში განხორციელებული პროექტის „შეხვედი ადგილობრივ მაცხოვრებელს“ მიმსგავსებული ვერსიაა. მცირე პროექტის მთავარი ბენეფიციარები არიან ტურისტულ ადგილებში მცხოვრები მოსახლეობა და ისინი, ვინც კარგად იცის თუ რით არის კონკრეტული სოფელი, დასახლება თუ მუნიციპალიტეტი ტურისტულად მიმზიდველი. ადგილობრივი მოსახლეობა გადამზადდება ტურისტულ გიდების ან ‘მასპინძელ ოჯახების’ მიმართულებით. მოსალოდნელია, რომ ეს მცირე პროექტი გაზრდის სოფლის მოსახლეობის (რელიგიური უმცირესობების, ქალების და შშმ პირების ჩათვლით) ჩართულობას ეკონომიკურ ღონისძიებებში.

პროექტი ხორციელდება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის „თავისუფალი მედია სახლი“ მიერ. პროექტი წვლილს შეიტანს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარებასა და ეკონომიკურ გაძლიერებაში.



ოზურგეთის მუნიციპალიტეტი



98'545 ლარი

მოსარგებლე: 50 ადამიანი მიიღებს პირდაპირ, ხოლო 38,000 - ირიბ სარგებელს



ქალთა გაძლიერება რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში



©UNDP/ვლადიმერ ვალიშვილი



©UNDP/ვლადიმერ ვალიშვილი

სხვადასხვა კვლევის თანახმად, საქართველოში ქალები სახლში, კვირაში, 45 საათზე მეტს მუშაობენ, რაც აუნაზღაურებადი შრომაა. სახლში მუშაობა ამცირებს ქალების ეკონომიკურ საქმიანობაში სრულფასოვანი ჩართულობის შესაძლებლობას.

გრანტი გაიცა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციაზე „რაჭის ფონდი“. პროექტით ისარგებლებს ონის, ამბროლაურის, ცაგერის და ლენტეხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 90 უმუშევარი ქალბატონი.

გრანტის ფარგლებში, ქალები გაიუმჯობესებენ უნარებს მარკეტინგისა და მეწარმეობის მიმართულებით; ასევე, დაუფლებიან ტრადიციული ხელნაკეთობების დამზადების ხელოვნებას. არსებული სახელოსნოები კიდევ უფრო გაფართოვდება, გაიხსნება ახალი მაღაზია-სალონები, სადაც ადგილობრივი ნაწარმი გაიყიდება. სეზონზე, დიდი ბაზრობები მოეწყობა მაღალმთიან სოფლებში გაყიდვების გაზრდისა და ადგილობრივი პროდუქტების პოპულარიზაციის მიზნით. ტრენინგი ჩაუტარდებათ ახალი საოჯახო სასტუმროების გახსნის მსურველებს.

პროექტის განხორციელების შედეგად, მეტ ქალს მიეცემა თავისი პოტენციალის განხორციელების საშუალება, მიიღებენ მეტ შემოსავალს და ამით ტურიზმისა და ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებაში შეიტანენ წვლილს.

რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი

პროექტი:
182,683

მოსარგებლე: ონის, ამბროლაურში, ცაგერსა და ლენტეხის მცხოვრები 90 ქალი

ხანგრძლივობა: 15 თვე

182'683 ლარი

ტურიზმის ხელშეწყობა სოფელ ტანძიაში



©UNDP/ვლადიმერ ვალიშვილი



©UNDP/ვლადიმერ ვალიშვილი

სოფელ ტანძიაში დაიბადა დიდი ქართველი მოღვაწე, მწერალი და დიპლომატი, სულხან-საბა ორბელიანი. მისი სახელობის მუზეუმი ღირსშესანიშნაობაა, რომელსაც როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი მნახველი ყავს. მუზეუმისა და გარე სივრცის უკეთ მოწყობა მნიშვნელოვნად გაზრდის მნახველთა რაოდენობას.


ბოლნისის მუნიციპალიტეტს გადაეცემა გრანტი ტურისტული და სავაჭრო სივრცის მოსაწყობად. მუზეუმის ტერიტორიაზე მოეწოდება ადგილი ბანაკებისა და პიკნიკისთვის. ადგილობრივი მწარმოებლებისთვის მოეწყობა სავაჭრო სივრცე, სადაც ისინი გაყიდვით ადგილობრივ ნაწარმს. მნახველებს მიეცემათ საშუალება არა მარტო შეიძინონ, არამედ უშუალოდ მიიღონ მონაწილეობა დამზადების პროცესში. ადგილობრივებს შეეძლებათ შეისწავლონ ხეზე კვეთის, ქეჩის დამზადების, ქარგვის და სხვათა ხელოვნება.

გამოჩობესებული ინფრასტრუქტურა მეტ მნახველს მოიზიდავს. კარგად მოწყობილი სავაჭრო სივრცე ხელს შეუწყობს ადგილობრივი მწარმოებლების შემოსავლების ზრდას.



ქვემო ქართლი

მოსარგებლე: 15 ადგილობრივი მწარმოებელი, მათგან 15 ქალი; ასევე, 30 ადგილობრივი გადამზადებელი ხელობისა და ხელოვნების სფეროში; სოფლის მოსახლეობა (500 ადამიანი)



95,200 ლარი



თანამედროვე აგრო ბაზარი სოფელ ბულვანში



©Georgian Travel Guide



©BM.GE


ბულვანი აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელია, რომელშიც სულ 228 ადამიანი ცხოვრობს. ადგილობრივი მოსახლეობა, სხვა სოფლების მსგავსად, სოფლის მეურნეობაშია ჩართული; შესაბამისად, აგრო ბაზარი ადგილობრივი ფერმერებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. თანამედროვე ბაზარი, სადაც კომფორტული გარემოა და სანიტარული ნორმებია დაცული, ასევე მნიშვნელოვანია აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალის დაახლოებით 30'000 მგზავრისთვის.

გრანტის მიმღები და განმახორციელებელი აბაშის მუნიციპალიტეტია. გრანტი ითვალისწინებს აგრო ბაზრის და კაფეს მშენებლობას, ასევე სველი წერტილის მოწყობას. აგრო ბაზარზე ადგილობრივი ფერმერები ყოველდღიურად გაყიდვით თავიანთ ნაწარმს. ამავე ბაზრის ტერიტორიაზე მოეწყობა ბაზრობები, სადაც თავიანთ პროდუქციას გაყიდის ყველა მსურველი. ბაზრობები ხელმისაწვდომი იქნება შშმ და მოწყვლადი პირებისთვის.

პროექტი ხელს შეუწყობს ადგილობრივი ბიზნესის გაძლიერებას, წვლილს შეიტანს ადგილობრივი ფერმერების შემოსავლის ზრდასა და მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარებაში.



სამეგრელო ზემო-სვანეთი



100'000 ლარი

მოსარგებლე: 30 ადგილობრივი ფერმერი, მათგან 15 ქალი; ასევე, 30'000 მგზავრი

ხანგრძლივობა: 10 თვე

Opening an Ethno-Centre in Zugdidi Municipality



©UNDP/Vladimer Valishvili



©UNDP/Vladimer Valishvili

Over the centuries, generation after generation has perfected the production and art of craftsmanship in Georgia. Every province in the country, including Samegrelo, has historically taken great pride in the works of art unique to that particular region, but in recent decades, interest in traditional craftsmanship has waned, and it is now on the verge of extinction.


The project submitted by the Zugdidi municipality is aimed at reviving, developing and popularizing traditional craftsmanship. The ethno-center will offer training workshops for young people willing to master the art of handcraft artisanship, as well as a place to sell their work, since the Zugdidi municipal government has allocated a space in the city centre for fairs for crafted products. Local craftsmen will also be taught sufficient business skills; specifically, they will receive a series of training programs focused on business efficiency, tax systems and marketing, brand policy and branding, along with property rights and patents.

Increasing demand for local products and services will contribute to attracting visitors and creating new job opportunities. These activities will raise awareness of the tourism potential of the Zugdidi municipality.



Zugdidi municipality

Beneficiaries: 70 beneficiaries, including 30 craftsmen and 40 apprentices



Duration: 10 months

Tourism Development in Senaki Municipality



©UNDP/Vladimer Valishvili



©UNDP/Vladimer Valishvili

The Senaki municipality is located in the Samegrelo region in Western Georgia. With a population of almost 40,000, the municipality is home to 44 cultural and historic monuments, with Nokalakevi - also known as Archeopolis - being the most prominent. The tourism potential of the Senaki municipality cannot be doubted, but remains largely untapped.


